საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 1 19 01147351

06/09/2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
(მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N12)

თქვენი 2019 წლის 21 აგვისტოს N8312/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშს გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სრულიად იზიარებს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ აღნიშნული დოკუმენტის ანალიზის შედეგად შემუშავებულ შენიშვნებს (იხ. დანართი).

ამასთანავე, დამატებით მიგვაჩნია, რომ საყურადღებოა შეუსაბამო ნაგებობების საკითხი („ძველი მცხეთის“ უბნისთვის). წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ზოგიერთი ნაგებობის იერ-სახე მკვეთრად შეიცვალა და, გარკვეულწილად, ამოვარდა კიდეც მცხეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილის მხატვრული სახიდან. მსგავსი სახის შეცდომები თავიდან უნდა იქნას აცილებული.“ აუცილებელია, რეკომენდაცია შეიცავდეს მათთვის შეუსაბამო ნაგებობის სტატუსის განსაზღვრას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს დროთა განმავლობაში მათი ზემოქმედების შერბილების ან შესაძლებლობის შემთხვევაში, სრული ნიველირების წინადადებები.

დანართი: 3 გვერდი.

პატივისცემით,

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ხარატიშვილი ლევან